


მანა ცოქონანი  
Aurora borealis



სადაც მატერიაა, იქ გეომეტრიაც არის  
ოიჰანეს კეპლერი

ფერები გვხიბლავს, როდესაც თოვლით გადათეთრებულ ფიჭვებსა თუ ძახველებს მარადმწვანე ნაძვნარი და წითელყვითელფოთლიანი ხეები ენაცვლება. და... სულაც არ გვახსენდება ამ ზღაპრული სიჭრელის გამომწვევი მეცნიერული მიზეზები. სკოლაში ვინ მოთვლის, რამდენჯერ ამოგვისხნია ამოცანები ერთი პუნქტიდან მეორე პუნქტისკენ მიმავალ მგზავრებსა თუ ტრანსპორტზე. მანძილის, დროისა და სიჩქარის მაჩვენებლებს ფორმულებში ვსვამდით, მიღებულ რიცხვებს შესაბამის განზომილებებს ვუწერდით და ვერც მაშინ წარმოგვედგინა, რომ გაკვეთილზე დაგვიანების გარეშე მისვლას ჩვენი მოძრაობის სიჩქარე (გავლილი მანძილის დროსთან შეფარდება) განაპირობებდა; რომ სოლფეჯიოზე არგამოცხადება დროის განელვის ან გზიდან გადახვევის (დროისა და მანძილის შეგნებულად გაზრდის) ლოგიკური შედეგი იყო. ლათინურ ასოებს **A, B, V, T, S...** ჩვენს ყოფით ცხოვრებას ვერ ვუსადაგებდით - ისინი იქ, თავისთვის არსებობდნენ, ჩვენ აქ, ჩვენთვის ვცხოვრობდით. მეცნიერება ცხოვრებას თანდათან დაუკავშირდა, თუმცა ამოცანის ამოხნასავით ზუსტი პასუხები მაინც ვერ მივიღეთ. ეს ამბავიც, სხვა თავგადასავლების მსგავსად, ერთი რიგითი გადაადგილებით დაინყო იმ სამყაროში, რომელიც საგულდაგულოდ გადაზომეს და გეომეტრიულ ფიგურებად დაჰყვეს ჰომო საპინესებმა. საიდუმლო მაშინ გამჟღავნდა, სამხრეთული **A** პუნქტიდან (სადაც ნოემბრის მინურულის მიუხედავად გაზაფხულის ამინდები იდგა) ჩრდილოური **B** პუნქტისკენ მიმავალმა ექსპედიციის წევრებმა გზის ორი მესამედი რომ გაიარეს და... დაუზამთრდათ.

\*\*\*

მკერდმოშიშვლებული მეზღვაურები გემბანზე შეკრებილ, მობუზულ მგზავრებს უღიმოდნენ და თავისებურად ამხნევებდნენ: ჯერ სადა ხართ, ამას სიცივე არც ჰქვია, უკანა გზაზე აქ რომ გამოივლით, გაზაფხული გეგონებათო. ჩრდილოეთში გაკაჟებულებთან თავის მოწონებას და გამძლეობის გამოცდას თბილად ჩაცმა არჩია და კაიუტისკენ გასწია პროფესორმა დავით კონსტანტინსკიმ. ჩემოდანი ნომერი ერთი კართან დახვდა, ბარგისთვის გამოყოფილ გრძელ სკამზე შემოდო და გახსნა.

ჩემოდნის მარჯვენა ბალთასთან პასტიტ მიენერათ N1. უცხო თვალისთვის შეუმჩნეველი, არაფრისმთქმელი სიმბოლო და ციფრი პროფესორისთვის უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას იტევდა. ნომერ ერთ ჩემოდანში, როგორც წესი, მოგზაურობის დასაწყისში საჭირო ნივთები ეწყო. სად როგორი დარი და როგორი ყაიდის საზოგადოება, რა სახის გაუთვალისწინებელი გარემოებები თუ სასიხარულო მოულოდნელობები დაუხვდებოდა ძვირფას დათიკოს, მისმა მეუღლემ ზედმინევნით იცოდა.

ჩემოდან ნომერ ერთს, ისევე როგორც ჩემოდან ნომერ ორს, სამსა თუ ოთხს (რაოდენობას მოგზაურობის ხანგრძლივობა განსაზღვრავდა) საგანთა მისაგნები სია ახლდა სათადარიგო ასლით, რომლებიც წითელი პასტიტ ინერებოდა და თვალსაჩინო ადგილას მაგრდებოდა. ჩემოდანი ნომერი ერთი ამჯერადაც მოწოდების სიმალლეზე აღმოჩნდა: პატრონი პირველი ბორიოს შემობერვას სათანადოდ რომ დახვედროდა, ზემოდან ეწყო ქაშმირული კაშნე, პლუმის სარჩულიანი, წყალგაუმტარი, მსუბუქი ლაბადა, ორმაგი ბამბის წინდები, წელზე შემოსახვევი, ანგორის ძაფით ნაქსოვი სარტყელი სადაფის სიფრიფანა ღილებით, ჰომეოპათიური წვეთები შემცივნების პრევენციისთვის. აქვე იყო ფლანელის ღამის პიჟამა, ნესესერი, ერთჯერადი პარფიუმერიით და ლოგიკური ფიქრის შედეგად ჩალაგებული სხვა უამრავი ნივთი.

დავით კონსტანტინსკი გათბა, ზურგში დაძაბულობის შეგრძნება გაუქრა, გალეული, წითელი ფანქარი მოიმარჯვა და მაგიდაზე გაშლილ ნახაზებს მიუჯდა. როგორც თავად ამბობდა, ამოსუნთქვის ხანა დასდგომოდა: გამოცდები და საექსპედიციო გასაუბრებები გადაეგორებინა, მკაცრი ლექტორის იმიჯი უკუეგდო და სტუდენტებთან მეგობრულ ურთიერთობებს ამყარებდა. გამომგზავრების წინ დანიშნული შეხვედრა ჩვეული იუმორით წარმართა, სწრაფად გაიარეს საორგანიზაციო საკითხები, განიხილეს გერმანული სიზუსტისა და დისციპლინის ავკარგიანობა, რასაც ბუნებრივად გადაება ბლიც-ლექცია 23,4 გრადუსის ფენომენალურ ზეგავლენებზე ადამიანების ცხოვრებაში.

ზოგჯერ ელემენტარულ ჭეშმარიტებას ახლებურ პერსპექტივაში აღვიქვამთ და საუბრის საღერღელი გვეშლება. იმ დღესაც ასე მოხდა, თორემ სასკოლო პროგრამის გახსენებას ნამდვილად არ გეგმავდა პროფესორე (სტუდენტები, ლათინურ ყაიდაზე მიმართავდნენ ბატონ დავითს). ახალგაზრდები მშვენიერ განწყობაზე დახვდნენ, საოცნებო

ექსპედიციის ნევროზა განაღებული ჰქონდათ, ახალ ამპლუას იფერებდნენ და პოზიორობდნენ - მოსალოდნელ მკაცრ კლიმატურ პირობებზე ნუნუნებდნენ. ხატიამ, დისტროფიული აღნაგობის გოგონამ ბიჭური ვარცხნილობით, მეგობრებს თვალი ჩაუკრა, გაკაჟება აქედანვე უნდა დავინყო, სვიტერი გაიხადა და მაისური გამოამზეურა. თეთრ გულისპირზე, მკერდის გასწვრივ ლე კორბიუზიეს\* სათვალე ეხატა, ქვემოთ კი შავი ასოებით ეწერა: „ყველაფერი გარშემო გეომეტრიაა!“

სტუდენტებმა ხატიას მაისურს ტაში დაუკრეს, ლე კორბიუზიეს ფრთიანი ფრაზების კორიანტელი დააყენეს, რასაც სკეპტიკოსების მხრიდან შესწორებები მოჰყვა: გამოთქმებს არასწორად თარგმნიან და მათ ავტორებსაც ერთმანეთში ურევენო! ყველაზე დაჩაგრული კი კეპლერია\*\*, მის ნააზრევს ვის აღარ მიანერენო!

ასე შეზავდა ორიგინალური კოქტეილი ინგრენდიენტებით „კეპლერი,“ „ლე კორბიუზიე,“ „გეომეტრია,“ „არქიტექტურა,“ რომლის მეცნიერულ-მა არომატმა პროფესორე დაფასთან მიიყვანა და ელიფსი მოახაზინა. მალე ელიფსზე ევრაზიისა და აფრიკის კონტინენტების კონტურები გამოიკვეთა, მარჯვნივ გადახრილ, წარმოსახვით ღერძსა და ეკვატორს შორის კი 23,4 გრადუსიანი კუთხე გადაიზომა.

- რომელ კლასში ვართ?!. აბა, ბავშვებოოო, გამოიცანით, მოცემული კუთხე ბლაგვია, მახვილი თუ გაშლილი?!. აზიმუტი, მადმუაზელ ხატი, აზიმუტის კუთხე ტრანსპორტირით გადაზომეთ!.. ბისექტრისა თუ გაგივლია კუთხის გვერდთა შორის, შვილო გოდერძი?! - ვერ ცხრებოდნენ აჟიტირებული სტუდენტები.

პროფესორე ცერა თითს მაღლა სწევდა, ახალგაზრდებს თავს უქნევდა და ილიმოდა. მერე ცარცი ააგდო, დაიჭირა, შეკრული მუშტით ჰაერში წრე შემოხაზა და აუდიტორიაში სიჩუმემ დაისადგურა:

- ერთი შეხედვით უმნიშვნელო მახვილი კუთხე, რომლის სიდიდეც 23,4 გრადუსია, ძვირფასო არქიტექტორებოოო, უნიკალური გეომეტრიული სიდიდეა და-ა... მილიონობით დეტალზეა პასუხისმგებელი! მილიონობით დეტალზე ჩვენს არა თუ ყოველდღიურ, ყოველწამიერ ყოფით ცხოვრებაში! და-ა... არა მხოლოდ ცხოვრებაში, ჩვენს ყო-ველ-ნა-მი-ერ მეტყ-ვე-ლე-ბა-შიც კი!..

\* შვედური წარმოშობის ფრანგი არქიტექტორი (1887-1965);

\*\* გერმანელი მათემატიკოსი და ასტროლოგი (1571-1630);

დააკვირდით, გა-დაიხარა დედამინის ჩრდილოეთ პოლუსი მზისკენ (კუთხის სიდიდე 23,4 გრადუსია, გვახსოვს პირველივე კლასიდან) და-ა... დათბა-გამწვანდა-გაიღვიძა-გაიხადა-გაიღიმა სამყარომ. ნახევარ წელიწადში და-უმალა დედამინამ ჩრდილოეთის პოლუსი მზეს (23,4 გრადუსი უცვლელი დატოვა, ცხადია) და-ააა... რადიკალურად შეგვცვალა: შეგვამცივნ-გადაგვათეთრ-მიგვანავლ-ჩაგვფუთნ-მოგვანყინა. გეომეტრიააო გარშემო ყველაფერი, მადმუაზელ ხატიიმი და ვეთანხმებით, როგორ არ ვეთანხმებით!.. იბი მატერია, იბი გეომეტრია\*, არ-ქი-ტექ-ტო-რე-ბო! ა-ნუ, „სადაც მატერიაა, იქვეა გეომეტრიაც“ - ვისაც არ უნდა ეთქვა, კეპლერს, ლე კორბიუზიეს, ჯორდანო ბრუნოს\*\* თუ სულხან-საბას\*\*\*, ის ბრუნავს! ბრუ-ნავს 23,4 გრადუსიანი მახვილი კუთხით დახრილი და ეს სიზუსტე პასუხისმგებელია ჩვენს ხასიათ-სურვილ-გეგმება-ტანსაცმელ-საკვებზე, გადადგილების საშუალებებზე, უზადრუკ ოცდაოთხ საათში დღისა და ღამის კუთვნილ საკონტროლო პაკეტზე, შემოდგომის ფოთლების პიგმენტაციასა და სხეულის გარუჯვაზე, თოვლის გუნდებისა და ყვავილების თაიგულების ფორმა-დიზაინზე, ლექსებისა და სიმღერების მოტივსა თუ მაჟორ-მინორულობაზე!.. და რაც მთავარი-ა ლექსიკის... დიახ ლექ-სი-კის სიმდიდრეზეც კი! მოცემული კუთხე, შვილო გოდერძი, რომ ყოფილიყო ბლაგვი, გაშლილი ან მართი, არ იარსებებდა ისეთი მშვენიერი სიტყვები, როგორიცაა გა-ზაფხული, შე-მოდგომა, ზამთა-რი, ზაფხუ-ლი და კიდევ უამრავი, რომელზე ფიქრიც თქვენთვის მომინდვია! ხვალ კი, დილის შვიდ საათზე, ზუსტად შვიდ საათზე ვიკრიბებით და-ა... ამ სიტყვებზეც 23,4 გრადუსია პასუხისმგებელი!

გემის კაიუტაში შეყუჟულ-ჩაფუთნული დავით კონსტანტინსკი სწორედ იმ ბლიც-ლექციას იხსენებდა და იღიმოდა. უცებ წამოდგა, გაღეული წითელი ფანქარი ააგდო, დაიჭირა, შეკრული მუშტით ჰაერში წრე მოხაზა, ნახაზებიან მაგიდას მოშორდა და ილუმინატორთან გადაინაცვლა. სტუდენტები სავარაუდოდ გოგას ან გოდერძის კაიუტაში შეიკრიბებოდნენ. ახლა მათთან ყოფნას რა სჯობდა - წარმოიდგინა ნაქსოვი ჟაკეტებისა და კაშნეების სიჭრელე, ალკოჰოლისგან განითლებული ცხვირები, დაუფიქრებლად წარმოთქმული ფრაზები და უმიზეზო სიცილი. ილუმინატორს მოშორდა და ჩემოდანი ნომერი ერთი

\* სადაც მატერიაა, იქა გეომეტრიაც არის (იოჰანეს კეპლერი);

\*\*იტალიელი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, პოეტი, კოსმოლოგიის თეორეტიკოსი (1548-1600);

\*\*\* ქართველი მწერალი და დიპლომატი (1658-1725).

სასმელის პოვნის იმედით გადაათვალიერა. როგორი დელიკატური ტაქტიკით ჩაენაცვლებინა უმშვენიერეს ადიკოს ალკოჰოლის ადგილი ექიმის დანიშნულებებით, წამლებითა და მათი მიღების გრაფიკებით. არადა, ერთი სანუკვარი ბოთლი როგორ შეუმსუბუქებდა დანიშნულების პუნქტამდე მისაღწევ, ბორიოქარიან, მოსაწყენ გზას.

კარზე დააკაკუნეს. გოდერძი აღმოჩნდა. ხომ არ შემოგვიერთდებითო, მორიდებით შესთავაზა. თვალეგაბრწყინებული პროფესორე ჩემოდნისკენ მკვეთრად შეტრიალდა და მეტი გულმოდგინებით შეუდგა ძებნას. ცოტა ხანში არყის ბოთლით ხელში უკან დაბრუნდა და გოდერძის თვალი ჩაუკრა:

- წამდვილად უ-ცხო-პლანეტელია!

- რა?.. ანუ, ვინ? - დაიბნა გოდერძი.

- ყურადღებას ნუ მომაქცევ, ჩემს მეუღლეზე ვფიქრბდი, - პლუშის სარჩულიანი, წყალგაუმტარი, მსუბუქი ლაბადა სწრაფად მოიცვა და ქაშმირული კაშნე ჯიბეში ჩაიტენა დავით კონსტანტინსკიმ.

- აჰ, ცოლზე ანუ... გასაგებია.

- ცოლზე შეიძლება ხომ?

- არა, არა, ეგ არ ვიცი, თუმცა გააჩნია...

- რას გააჩნია?

- უცხოპლანეტელი სინამდვილეში არ მინახავს, მაგრამ როდესაც ამას ცოლზე ამბობთ, ანუ ვამბობთ ზოგადად, დასაშვებია რომ... მოკლედ, ცოტა დავლიე და უნდა მაპატიოთ, ძალიან ცივა, - გოდერძი განითლდა.

- კარგი რა, ასე სერიუზულად რატომ უდგები საკითხს. გამოცდებს ხომ მოვრჩით? - პროფესორემ არყის ბოთლი, პოლარული დათვის გამოსახულებით ეტიკეტზე, გოდერძის გადასცა და კაიუტა გამოკეტა.

გოდერძის თვალეები გაუფართოვდა. გულუხვი საჩუქარი იყო, მართლაც არაამპლანეტური გარკვეული გაგებით, - გაიფიქრა, თუმცა ამჯერად თავი შეიკავა და არაფერი უთქვამს.

- მე ვიცი, თქვენ ზღაპრების გამოგონება რომ გიყვართ, დიახაც ვიცი-ო!

- ცისფერთვალეა, ლოყებლაყლაყა, ქერათმიანი და მკერდსავსე თინა პროფესორეს მიეჭრა, როგორც კი ის გოდერძისთან ერთად გოგას კაიუტაში შევიდა.

- ეს ვინ მოგახსენათ-ო? - ლაბადა გაიხადა და სავარძელზე გადაფინა დავით კონსტანტინსკიმ.

- თქვენი შვილიშვილი ჩემი მეგობრის მეგობარია, თბილისი რომ პატარაა, მოგეხსენებათ-ო და შემთხვევით მოვისმინე, როგორ ყვებოდა, ჩვენთვის სიტყვებს იგონებდაო, სიმღერებსო, ზღაპრებსო.

- ანუ, დღემდე ჰგონიათ, რომ ვიგონებდი. გასაგებია.
- რა არის გასაგები?
- შვილიშვილების ამბავი თქვენ რა იცით, ძვირფასო თინა-თინ, რას არ მოიმოქმედებენ, ოღონდ მეზღაპრე ბაბუად გაქციონ.
- უცხოპლანეტელი ცოლის არ იყოს! - შინაურულად ჩაუმატა გოდერძი და არყის ბოთლი ჰაერში ასწია, - აბა, მოვიდა თეთრი დათვის ციება! აიტაცეს. გახსნეს. პროფესორეს ჭიქა მიანოდეს. ჩამოასხეს. თქვეს, რომ „არქიტექტურის ისტორია არის სინათლისთვის ბრძოლის ისტორია!“ ადღეგრძელეს არქიტექტურა!.. ადღეგრძელეს სინათლე!.. ადღეგრძელეს სინათლით სავსე არქიტექტურა!.. ადღეგრძელეს ამ სიტყვების ავტორი ლე კორბიუზიე!.. თავი დაიზღვიეს, კეპლერიც მიაყოლეს და მერე ერთხმად გადაიხარხარეს.
- მოიცათ, მოიცათ, აქ რაღაც ხდება, - არ ცხრებოდა ლოყებანთლებული თინა, - რა შუაში იყო აქ უცხოპლანეტელი ცოლი, გთხოვთ დავაკონკრეტოთ, ვისი ცოლია უცხოპლანეტელი!
- მე არაფერი ვიცი! - აინურა გოდერძი.
- ჩემი, - განაცხადა პროფესორემ, - ჩემი ცოლი ანგელინა აპოლონსკაია, იგივე უმშვენიერესი ადიკო!
- ეს როგორ?
- შემიძლია გიამბოთ, თუ ჩემი შვილიშვილებივით ცილს არ დამნამებთ, რაღაც მოზღაპრ-მოჩმახაო.
- ისევ ჩამოასხეს. ამჯერად გაიხსენეს 23,4 გრადუსიანი კუთხის ზეგავლენები. ადღეგრძელეს გეომეტრია!.. ადღეგრძელეს ლინგვისტიკა!.. იქვე დასძინეს, რომ მეჩვიდმეტე საუკუნეში, ანუ კეპლერის დროს, მათემატიკასა და ასტრონომიას სწორედ ხელოვნების ფაკულტეტზე ასწავლიდნენ. ადღეგრძელეს ხელოვნება!.. ადღეგრძელეს გრამატიკა!.. ადღეგრძელეს პლანეტები!.. ადღეგრძელეს მეჩვიდმეტე საუკუნისდროინდელი სილაბუსები და ისევ ერთხმად გადაიხარხარეს.
- ანუ... მოგვიყვებით, თქვენი ცოლი როგორ გაიცანით? - თავისას აგრძელებდა, ან უკვე თეთრი დათვის გამოსახულებიანი ეტიკეტით დამშვენებული ბოთლიდან შემთბარი თინა.
- დიახ, ძვირფასო.
- აჰ, ნეტავ, ლანკაც აქ იყოოოს. არასოდეს დამიჯერებს, რომც მოვუყვე,
- თინას გული აუჩუყდა, თვალები გაუწყლიანდა და პროფესორეს სავარძელთან ახლოს მოკალათდა.
- სამაგიეროდ ლანკა ზარმაცების რიგებში დაუმაღლებლად ჩაენერა. ეგეც საქმეა, - დავით კონსტანტინსკიმ გაბუტულტუჩებიან თინას

გაულიმა, მერე გოდერძის ანიშნა, ჩაიში თეთრიციების ორიოდ წვეთი ჩამისხიო და სავარძელს მოერგო, - დედამინა თავს ევლება ერთ მნთობს, ხომ ასეა? - დაიწყო და სტუდენტებს თვალი მოავლო. ზოგიერთებმა ბეჯითად დაუქნიეს თავი, ზოგიერთებმა ღიმილით გადახედეს ერთმანეთს და სასმელისკენ გადაინაცვლეს, ზოგიერთებმა ყურსასმენებიდან გადმოღვრილი მუსიკის რიტმს ააყოლეს სხეული, - ხოლო მეორე მნათობი... დედამინას დაჰფოფინებსა და-ა... არის ამაში რაიმე ზღაპრული ან გამონაგონი, მშვენიერო თინა-თინ?

- გამოგონილი არა, მაგრამ ზღაპრულად ნათქვამი რომ არის, ფაქტია! - ამოიოხრა თინამ და მომუშტულ ხელებს ლოყებით დაეყრდნო.

- საქმეც მაგაშია, რომ მუდამ მსგავსი პროვოკაციების მსხვერპლი ვხდები, - პროფესორემ ალკოჰოლიანი ჩაი მოსვა. - ანუ, კიდევ ერთხელ დავაზუსტოთ: დედამინა თავს ევლება ერთ მნათობს, მეორე მნათობი კი დედამინას დაჰფოფინებს. ასე გახლავთ მიჩნეული დღემდე, ადამიანების დიდი... დი-დი უმრავლესობა თვლის რომ ამ ორი მნათობის ამარა ვართ.

- და ვინც ასე არ თვლის, დღეში სამჯერ აბი გლუკოზა აქვს გამოწერილი?

- იკითხა გოგამ და მხრებზე გადაფენილი, გრძელი, ნაბლისფერი, ტალღოვანი თმა ხატიას ნაჩუქარი, იისფერი რეზინით შეიკრა.

- არც მთლად მასეა საქმე, იმიტომ რომ კიდევ ერთი, ძალიან პატარა, ადამიანის თვალისთვის ძნელად აღსაქმელი თანამგზავრი ნამდვილად ჰყავს დედამინას და იმ ვინრო წრეში, სადაც მისი არსებობა აღიარებულ-დამტკიცებულია, ბორიალედ მოიხსენიებენ.

- ბორიალეოო?! - გაიკვირვა ხატიამ.

- ვაიმე, ბორიალეე, რა საყვარლობაა! - თვალეები მოისრისა თინამ.

- აჰ, ბორიალე, სად ბორიალობ, ვისთვის რას იტყვი?! - წამოიჭრა თავი, შავგვრემანი ბიჭი, გაბურძგნული ბაკენბარდებით, თავისი უგრძელესი მწვანე კაშნე, სტაფილოსფერი ზიგზაგებით ხატიას კისერზე შემოავლო და თავისკენ მიიზიდა.

- შემეშვი, ნუ ხარ ცინიკოსი! - შეუღრინა ხატიამ და თავი გაითავისუფლა,

- პროფესორე, ანუ თქვენ ამტკიცებთ, რომ კიდევ ერთი თანამგზავრი არსებობს და მას ვერავინ ხედავს?..

- ...

- ვაუ!.. და რატომ ვერ ვხედავთ, ეგეც აგვიხსენით.

- თავად დაფიქრდი, - პროფესორემ თვალეები დაანვრილა და ხატიას გამომცდელად დააკვირდა.

- ეგ რომ იცოდეს საბრალო გონებამ, - არ ცხრებოდა თავი და თავის მწვანე კაშნეს აქეთ-იქით იქნევდა. შენუხებულმა ხატიამ ხელი აუქნია,



პროფესორესკენ გადაინაცვლა და თინას გვერდით, იატაკზე არაბივით დაჯდა:

- ანუ, თქვენ იცით ის მიზეზები, რის გამოც ვერ ვხედავთ?
- დაახლოებით ვიცი, იმის გამო რომ ყველა მნახველს საკუთარი ვერსია გვაქვს და-ა... შევეცდები ჩემებურად აგიხსნათ.
- პროფესორე, თქვენ მართლა მეზღაპრე ყოფილხართ, მაგრამ ამ გოგოებს რას ერჩით, აი, ნახეთ, რა დღეში ჩა-ჰყარეთ, - თაზი ხატიას ზურგიდან მიეპარა, ჟაკეტი გაუხსნა და ყველამ დაინახა ახალი წითელი მაისური წარწერით „23,40.“ - აშკარა ფანატიზმია სახეზე!!!

ხატიას მაისურმა ისევ ტაში დაიმსახურა. თაზის კი გოდერძის მძიმე ხელი მისწვდა და სკამი მიუჩინა. გოგამ თეთრდათვიანი არყის ბოთლს შუქზე გახედა და დარჩენილი სასმელი მსურველებს გაუნანო. მერე კი მასპინძლის პრივილეგიით ისარგებლა და სადღეგრძელოს უფლება ითხოვა (ყოველი შემთხვევისთვის კითხვიანი თვალებით პროფესორეს გახედა და მისგან თავის დაქნევით თანხმობა მიიღო).

წაბლისფერ, ტალღოვან თმებზე იისფერეზინიანმა გოგამ ჭიქა ასწია და განაცხადა, რომ ამჯერად მხოლოდ ერთი დიდი ადამიანის, სულხან-საბა ორბელიანის სადღეგრძელოს დალევდნენ. კაცის, რომელმაც მზისგან გადახრილ დედამიწას ძველთაძველ ასტროლოგიურ რუკაზე რომ დახედა, ჯიგრული ქართულით მიაწერა (წითლით თეთრზე): „ზამთარ მზისგან ხედვა ქვეყნისა!“

- ვააა-უ, მაგარია! - ყველამ ერთხმად წამოიძახა.
- ზამთარ მზისგან ხედვა ქვეყნისა, რა დონე ნათქვამია! - ხატია წამოდგა, გოგას მიუახლოვდა, ხელი გადახვია და ცხვირზე ცხვირით ნაზად მიეფერა.
- ახალი მაისურის იდეაც ჩაისახა. ვივა გოგა! ვივა პროფესორე! - ჩაიცი-ნა თინამ და ყურსასმენებიან ანიკოს, აფრიკული ნაწნავებით თვალი ჩაუკრა.

ანიკომ ცალი ყურსასმენი მოიხსნა, რა ხდებაო, თინას ხელით ანიშნა, თუმცა სადღეგრძელოების გაგონებაზე წარბები შეჰყარა, თვალები დააელამა და ყურსასმენებს დაუბრუნდა.

დანარჩენებმა ერთხმად ადღეგრძელეს სულხან-საბა ორბელიანი!.. ადღეგრძელეს „სიტყვის კონა!..“ ადღეგრძელეს „სიბრძნე სიცრუისა!..“ ზღაპრებიც ადღეგრძელეს, არქიტექტორი მეზღაპრეებიც არ გამოტოვეს და ისევ ერთხმად გადაიხარხარეს.

გოგამ ფილიპ გლასის\* კომპოზიციები ჩართო, „კრონოსის კვარტეტის“ შესრულებით და კაიუტაში გადმოღვრილმა მელოდიამ საკუთარ რიტმზე დაატრიალასამყარო. პროფესორეკიშეეცადააეხსნა, რატომიყოუხილავი დედამინის მეორე თანამგზავრი. მანამდე კი უპირობოდ და ერთხმად შეთანხმდნენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მუსიკა არამატერიალურია, შეიძლება გეომეტრიული იყოს; რომ ადამიანს ზედმინვენითი სიზუსტე და მომაკვდინებელი სერიოზულობა ანადგურებს; რომ თვალთ ყველაფრის დანახვა შეუძლებელია და ულტრაიისფერი სხივები ამის უმარტივესი მაგალითია;

- თვალი მუდამ გამოსავალს დაეძებს და-ა, რას ნიშნავს გამოსავლის ძებნა?.. გა-მოს-ვლის ანუ ბუდიდან ამოხტომის სურვილს. არ გვაკმაყოფილებს არსებული „ხედვაი ქვეყნისაი“ და იძულებულნი ვართ მითები შევთხ-ზათ, რელიგიები გამოვიგო-ნოთ, ზღაპრებით ვისაზრდო-ოთ. ასე და ამგვარად თავს ვიქცევთ, ვაჯერებთ, ვიტყუებთ, სანამ ვილაც, დიახ, ვი-ლაც ჩვენზე ფართოდ არ შეხედავს სამყაროს და იტყვის: მრგვალიაო-ბრუნავსო-იზიდავსო-ფარდობითიაო, აგერ კვარკებმა ცა გადასერესო, იქით ჰიგსისი ბოზონი ავწონეთო და დანარჩენებსაც არ დაგვაჭყეტიანებს თვალებს.

- იმის თქმა გსურთ, რომ ბორიალეს დანახვაც წინ გვაქვს...

- კარგი რა, ლადი, რა გვაქვს წინ? აგერ, ნანახი აქვს ადამიანს, ვერ გაიგე?! გეძინა აქამდე? - თინამ უკმაყოფილოდ გადახედა მრგვალსახიან, თავგადაპარსულ ბიჭს, კეფაზე ღრიანკალის ტატუთი და თავი უკმაყოფილოდ გააქნია.

- ცნობილი თუ არის, რომელ გრძედსა და განედზე ყოფნის დროსაა შესაძლებელი მისი დანახვა, პროფესორე? - მშვიდად გააგრძელა ლადომ.

- ერთმნიშვნელოვნად ჩრდილოეთის პოლარულ ხაზს მიღმა. როცა ზამთრის მზე ჩრდილოეთს თვალს ველარ აწვდენს, ბორიალე პოლუსთან ისე ახლოს მიდის, გეგონება, ხელს გაიშვერ და-ა... მისი მინდვრებიდან ყვავილებს მოწყვეტო.

- ვაიმე, რა ყვავილებს, ანუ იქ სიცოცხლეც არის? არ გადამრიოთ ახლა! გოგა, დამისხი, - თინა წამოხტა, ანიკოს ეცა, ყურსასმენი მოხსნა, - რას უსმენ, გოგო, ამისთანას, მოდი ნახე, რა ხდება, მომკლა ამის აფრიკულმა პერიოდმა. ამომიტრიალეს ანბანი, ამომიტრიალეს კოორდინატები! გოგა, დამისხი!... რა გაცინებს შე უდღეურო, - ახლა თაზის შეუღრინა და

\* ამერიკელი კომპოზიტორი-მინიმალისტი (დაიბადა 1937 წელს).

მწვანე კაშნეში წაავლო ხელი, - ვაიმეეე, შენ უნდა იყო აქ და ლანკა თბილისში?

- ანუ, მზეს ემალება? - თითქოს სიზმრიდან გამოერკვაო, ხატიას ხმა გაისმა, - ბორიალე მზეს ემალება, პროფესორე?

- შენსავით მზეთუნახავია, - თაზი თინას დაუსხლტა და ისევ ხატიასკენ გაიწია სატაფილოსფერზიგზაგებიანი მწვანე კაშნეს ქნევით.

- ჩრდილოეთის ციალი, აურორა ბორეალის, - ჩაეცინა ლადოს, გოდერძის თვალი ჩაუკრა, წამოდგა, ანიკოს გვერდით გადაჯდა და ყურსასმენზე თავით მიეყრდნო.

- ჩრდილოეთისციალია, ჩრდილოეთისციალია, გამოხტა მეორე ცინიკოსი, - გამჭოლი მზერა ესროლა თინამ ლადოს კეფაზე ამოსვირინგებულ მორიელს.

- ანუ, პროფესორე, თუ ჩვენი პლანეტის დახრის კუთხე შეიცვალა და ოდესმე ზამთრის მზე მისწვდა ბორიალეს... ყველა დაინახავს? - ჩაეკითხა ხატია.

- ძვირფასო ხატი, ორმოცი წლის წინ, არსებული დახრის კუთხის პირობებშიც მშვენივრად დავინახე. მაშინ ჩრდილო პოლუსზე თქვენსავით ახალგაზრდები გავემგზავრეთ აურორა ბორეალის ინფრასტრუქტურის დასაპროექტებლად. თქვენსავით გვციოდა, თქვენსავით ვსვამდით, თუმცა გაცილებით მძიმე პირობებში გვინევდა ყოფნა: ფურგუნებში ვცხოვრობდით, იურთებში ვმუშაობდით... და-ა, ერთ ლამეს თუ დღეს (ერთმანეთისგან ველარც ვარჩევდით), მორიგ სადღეგრძელოს ვიგონებდით, ხმაური რომ შემოგვესმა, თითქოს ყინული ჩატყდაო. გარეთ გავცვივდით და ჩემოდნების წვიმა დაგვაცხრა. ავიხედე და ციდან, მერვე თუ მეცხრე ჩემოდნის შემდეგ, კარიბულ ცისფერ პალტოში გამოწყობილი ქალი მოქროდა, ხელს მიქნევდა. მოგვიანებით კი ამიხსნა, განიშნებდი, გაიწიეო, მაგრამ მე მაშინ ჯენტლმენურად მოვიქეცი, საპასუხოდ მივესალმე, ხელეები გავშალე და-ა... დავიჭირე.

- ციდან... ჰაერში, - თინამ გაუბედავად დაიჩურჩულა.

- დიახ, დავიჭირე და დიდხანს ვიდექი გახევებული, ისიც გაცეცხული მომჩერებოდა. ორივე სწრაფად ვსუნთქავდით, იმ განსხვავებით, რომ მე არყის ოხშივარი ამომდიოდა, მას კი კუმარუს, **Dipteryx** ოდორატა სურნელი. ბიჭები ჩემს გარშემო დადგნენ, რას შვრები, დათიკო, რამ გაგაშეშაო? - ჩამეკითხნენ. ქალი დავიჭირე-მეთქი, - ვუპასუხე. რა ქალი, რის ქალი, ბელაია ხომ არ ჰქვიაო? - დაცინვა დამიწყეს.

- ვაიმეეე, ბელაია! ბელაია თუ იყო ბორიალეს დანახვის საშუალება, პირდაპირ გეთქვათ, ბატონო პროფესორე! - ისევ წამოხტა

მწვანეკაშნიანი თაზი, არაყი დაისხა, გადაჰკრა და ისევ დაისხა.

- ჩაჰქოლეთ, ეს არქიტექტორებს შემოკედლებული ინჟინერ-მშენებელი, ასეთ საინტერესო მომენტში რომ აწყვეტინებს და ხმას იღებს!.. მერე, პროფესორე, გააგრძელეთ, ანუ დანარჩენებმა რატომ ვერაფერი დაინახეს?

- სულ რამდენიმე წუთით დაბრმავდნენ. იცით, ცოტა უცნაურია, მაგრამ... ბორიალედან გადმოსულებს ყველა თვალი ინდივიდუალურად აღიქვამს, ზოგი მაშინვე, ზოგიც თანდათან.

- და საბოლოოდ?

- სანამ დაინახავდნენ, ჯერ ხმა გაიგეს: ბელა კი არა, ანგელინა ვარ აპოლონსკაიაო, და-ა... ეს გოლიათი არქიტექტორები, ინჟინრები და კონსტრუქტორები თავქუდმოგლეჯილები გაცვივდნენ აბანოსკენ. დაშინდნენ. როგორია, ხმა ესმოდათ, ქალს კი ვერ ხედავდნენ. აბანოში დიდხანს დარჩნენ, სანამ საშვილიშვილოდ არ გამოფხიზლდნენ, მგონი ჩვენს ქორწილამდე აღარ გაჰკარებიან სასმელს... თვალი მოსჭრათ უმშვენიერსმა ადიკომ.

- და თქვენ?

- რა ჩვენ?

- თქვენ როგორ გააგრძელეთ, ჩამოსვით და მერე..

- რა თქმა უნდა, ჩამოვსვი, თუმცა რას ჩამოვაქვეითებდი, ჩემზე ოდნავ მაღალი აღმოჩნდა. მაშინვე ავაშორე ქუსლები ყინულს და გავიჯგიმე. თქვენი სახელიო? - სხვათაშორის მკითხა და კარიბული ცისფერი პალტოს კალთები ჩამოიბერტყა. დათიკო მქვია, ქალბატონო ანგელინა-მეთქი. ჩაეცინა და ჩემოდნების მოგროვება დაიწყო. თუმცა როგორ მოაგროვა, არ მახსოვს, თითქოს ისევ იქ იდგა, მიყურებდა, ადგილიდან არ დაძრულა და თან დაფაცურობდა, ჩემოდანს ჩემოდანზე დგამდა. რალაც პარალელური ამბები ხდებოდა ჩემს ირგვლივ, მე კი გახევებულ-გაოგნებული ვიდექი და ვცდილობდი მათთვის გადაკვეთის წერტილები მეპოვა. ბოლოს ჩამოჯდა, ბენვის ქუდი დაიხურა (ისიც კარიბული ცისფერი), ფეხი ფეხზე გადაიდო და სად წავიდე არ ვიცი ჯერო. ჩემთან წამობრძანდით-მეთქი, - შევთავაზე.

- სასწაული! - თინას უფრო მეტად აუნითლდა ლოყები.

- მშვენიერი ადიკო ბორიალედან ჩამოფრენილა, - ხატია გოგას ჩაეხუტა, მერე ლოყაზე აკოცა და ყურში ჩასჩურჩულა, - ხომ მაგარია?

- ასე თუ ცვივა ქალები იქიდან, მაგარია, აბა რა!- გოგამ წელზე შემოხვია ხელი და თვალებში ჩახედა, - მართლა გჯერა თუუუ... გინდა რომ გჯეროდეს?

- ნეტავ რა განსხვავებაა. გიყვარვარ თუ გინდა რომ გიყვარდე? - ისევ ჩასჩურჩულა და იისფერი რეზინი თმებიდან მოხსნა, - ასე გაშლილი უფრო მომნონს.

- ქალები თუ ცვივააა, ეგ ყოფილა მესამე კი არადა, უეჭველად უპირველესი მნათობი ჩვენს გალაკტიკაში და ყველა არდამნახავის ჩემდათავად!.. ჩამოყარეთ, - ჭიქა ჰაერში გაიშვირა თაზიმ, - გადავდივარ მეზღაპრეების ფან-კლუბში.

- გაგრია, - კბილებში გამოსცრა თინამ და თაზის ნათქვამი გადაამღერა, - ქალები თუ ცვივა გადმოვდივარ ფანკლუბში, რაღა გვიჭირს. შენ კიდევ რას უსმენ ამისთანას? - ხელი დაუქნია ანიკოს.

ანიკომ ნახევრადმძინარე ლაღო მოიშორა, ცალი ყურსასმენი მოიხსნა და ისევ ხელით ანიშნა თინას, რა ხდებაო. თინამაც შესტებით აუხსნა: მიდი, შენთვის იყავი, არაფერი ისეთიო.

- უაიმე, დონე გოგო თინიკო, გული ხომ არ ჩაგწყდა მარტო ქალები რომ ცვივა თეთრი ციდან?.. თუმცა ეგ კიდევ გასარკვევია! - თაზიმ მწვანე კაშნეს ერთი ბოლო მიკროფონივით დაამრგვალა, ტუჩებთან მიიტანა და პროფესორესკენ გადაიხარა, - ბატონო დავით, შემთხვევით ხომ არ მოგეპოვებათ ინფორმაცია, ბორიალელების ინტერვენციის სტატისტიკაზე სქესისა და ასაკის მიხედვით? რაინდის იმედი თუ უნდა ვიქონიოთ და თუ კი, რა პერიოდულობით? და აქვე, კიდევ ერთ კურიოზს ხომ არ გაიხსენებდით?

- ჩაფხუტით იარე, ეგ რაინდი თავისი ამუნიციით შენ არ დაგასკდეს, - თინა პლედში გაეხვია და სგარეტის მოსანევად კომპანიონს დაუნყო ძებნა. გოდერძის მძიმე ხელი კი კვლავ თაზის მისწვდა და პროფესორეს მოაშორა.

- მშვენიერო თინათინ, დაე მე დამეცეს რაინდი, თუნდაც უჩაფხუტოს, თქვენთვის რას არ ავიტან! აი ასე, კაშნეს ამარა სიგარეტის მოსანევადაც გამოგყვებით ქვეყნის დასალიერში! გოდერძი, შემეშვი თუ ძმა ხარ,

- თავი გაითავისუფლა თაზიმ და თინას გაჰყვა.

- რატომ გადმოვხტიო, არ უთქვამს? - ისევ სიზმრისეული ხმით იკითხა ხატია.

- ჰქონდა თავისი მიზეზები, თანდათან რომ გამიმხილა. მოკლედ რომ გითხრათ და თავი აღარ შეგანყოფნოთ, ერთი მწერლის ცოლობას გაურბოდა, მშობლებს კი მიზეზს ვერ აგებინებდა. იქ, ბორიალეზე მწერლები სასურველი საქმროები არიან. ადიკოს კი ციფრების მეტი არაფერი აინტერესებდა. ცრემლებიც კი არითმეტიკული სიმბოლოების ფორმისა ჰქონდა, ნაბიჯს რომ გადადგამდა, გარშემო სულ პარაბოლები

და ჰიპერბოლები იხაზებოდა.

- აუუუ, წარმოვიდგინე და რა მაგარია! აუუუ, მეც მინდა ასე!

- მერე რა მოხდა, როგორ გადანყვიტეთ ერთად დარჩინა? - დაბრუნდა შემცივებული თინა ვითომ დაჭკვიანებული თაზის თანხლებით.

- თავიდან, ფურგუნში კვირები სწრაფად მიქროდა: ის ანგარიშობდა, მე ვხაზავდი. მერე ის ჩემს მაკეტებში, მე კი მის ციფრებში გავერკვიე, საბოლოოდ ძალები გავაერთიანეთ და პირველი შენობაც დავასრულეთ. ოჯახს მივწერე, ცოლს ვირთავ, ოლონდ ჩვენებური არ არის და არ გადაირიოთ-მეთქი. არ ვიცი რაზე საუბრობდნენ და როგორ იქცეოდნენ ჩემს ჩამოსვლამდე, მაგრამ გემიდან რომ გადმოვვედით, ყველა დამხვდურმა ერთხმად ამოისუნთქა და წარბი გახსნა.

- ანუ ეგრევე დაინახეს?

- არა, რა თქმა უნდა, წამის მეასედში ბორიალეს ქარმა გადაუარათ და თვალთ დაუბნელდათ, მაგრამ ეგ არაფერი, ქორწილამდე ყველას ყველაფერი დაავიწყდა. დღემდეც ასე გრძელდება და მიჩვეულები ვართ, პირველიმნახველიერთბაშადვერუსნორებსთვალსუმშვენიერესადიკოს. აბა, რა იყო ახლა აქ გამოგონილი? რომ ჩახვალთ, **Aurora borealis** თავად ნახავთ, უკან რომ დავბრუნდებით, ანგელინა აპოლონსკაიასაც გაგაცნობთ. რაც შეეხება ახალ თანამგზავს, მისი მიგნება თქვენს არქიტექტონიკაზეა დამოკიდებული და ისლა დამრჩენია, წარმატებები გისურვოთ.

ამის შემდეგ სტუდენტებმა რატომღაც თავები მოიფხანეს... წყვილები ერთმანეთს ჩაეხუტნენ... ფილიპ გლასის კომპოზიციები მეორე წრეზე დატრიალდა... დავით კონსტანტინსკიმ თეთრი დათვის გამოსახულებიან ცარიელ ბოთლს შესცინა, პლუშის სარჩულიანი, წყალგაუმტარი, მსუბუქი ლაბადა მოიცვა, ქაშმირული კაშნე ჯიბეში ჩაიტენა და შეუმჩნეველად დატოვა გოდერძის კაიუტაში საკუთარ რიტმზე მბრუნავი სამყარო.

მეორე დღეს იმდამინდელ საუბარს ზოგიერთი ძლივს იხსენებდა, ზოგიერთი ენთუზიაზმით აევსო და ბორიალეს ნახვა დაესახა მიზნად; იყვნენ ისეთებიც ერთი სიტყვაც რომ არ ან ვერ მოისმინეს. თუმცა საბოლოოდ თითოეული მათგანი ჩრდილოური განედების ცხოვრების წესსა და დღელამურ რიტმს დაემორჩილა.

გადაადგილება სამხრეთული A პუნქტიდან ჩრდილოურ B პუნქტამდე იქ დასრულდა. პორტიდან სასტუმრომდე კი ათვლის ახალი წერტილები დაფიქსირდა და ამბავიც განსხვავებული დაიწყო. „**Aurora borealis**“

მგზავრებს ელოდა: მის ყინულისმაგვარ პარაპეტზე, კარიბულ ცისფერში შესრულებული შუქჩრდილები დაუვინყარ ეფექტს ქმნიდა. წლების მიუხედავად, შენობას რელევანტურობა არ დაეკარგა, გარემოს კი ისე ბუნებრივად ერწყმოდა, იმდენ შუქს ატარებდა, პირველ დანახვაზე ყველას ეგონა, გამჭვირვალე კედელია აღმართულიო. მისი დათვალიერების შემდეგ კი გაიძახოდნენ, ნამდვილად არაამქვეყნიური მათემატიკური გამოთვლებით ააგესო. ექსპედიციის წევრები ჯერაც წინა ღამის შთაბეჭდლებებს უზიარებდნენ ერთმანეთს: ამბობენ, ექსპედიციის დასარულს ყოველთვის ჩამოდის ანგელინა აპოლონსკაიაო; ნეტავ, თუ დავინახავთ პირველივე შეხვედრაზეო; სკეპტიკოსებს კი ეღიმებოდათ: პორტშიც იყო მოსული ძვირფასი დათიკოს გასაცილებლად, მაგრამ ეტყობა ბორიალეს ქარმა დაგკრათ, ვერ შენიშნეთო; არც ახლა ხართ სახარბიელო დღეში, მივადექით სასტუმროს და სადაცაა შეასკდებით და იქნებ თავებს გაუფრთხილდეთ, კიდევ გამოგადგებათო.